საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო
ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების
მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო

საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები

პასპორტი

1	ძეგლის დასახელება "ლამარიას" კომპლექსი
2	სახეობა ხუროთმოძღვრების
3	ტიპი დარბაზული; საცხოვრებელი
4	დათარიღება XI-XII საუკუნეები
5	ადგილმდებარეობა მესტიის რ-ნი, უშგულის თემი, სოფ. ჟიბიანის ჩრდილოეთით
6	გამოყენების ხასიათი

7	ისტორიული ცნობები
ისტორიის ძეგლებისათვის: წარმოშობის ისტორია, იმ მოვლენათა და პირთა მოკლე დახასიათება, რომლებთან დაკავშირებით ობიექტმა მიიღო ძეგლის მნიშვნელობა	
არქეოლოგიის ძეგლებისათვის: წარმოშობის ისტორია, ვის მიერ და როდისაა აღმოჩენილი	
არქიტექტურის ძეგლებისათვის: ქტიტორი, ხუროთმოძღვარი, შექმნის ისტორია; ძეგლთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენები.	
ბუნების ძეგლებისათვის: ვის მიერ და როდისაა აღმოჩენილი; ძეგლთან დაკავშირებული ლეგენდები და თქმულებები.	

არსებობს სამი ლეგენდა "ლამარიასთან" დაკავშირებით. ერთი მათგანი შეეხება მის მშენებლობას; ერთ კაცს ცხრა ძე ჰყოლია და მათთან ერთად გადაუწყვეტია აეგო ეკლესია. მეზობელს მისთვის თავისი ცხრა სახედარი მიუცია საამშენებლო მასალის მოსაზიდად. მუშაობის დროს ერთი ვაჟი სახედარს დაუწიხლავს, რის გამოც მის პატრონს სიკვდილი ელოდა, მაგრამ მას აპატიეს იმ პირობით, რომ ახალ ეკლესიას გალავანს შემოავლებდა.

მეორე გადმოცემით, აქ, "ლამარიას" მიწისქვეშეთში ასვენია თამარ მეფის ცხედარი და თუ ვინმე გაბედავს მისი მარადიული მყუდროების დარღვევას, მთელი სვანეთი ქვესკნელში დაინთქმება.

მესამე გადმოცემას ისტორიული საფუძველი აქვს. ფუთა დადეშქელიანს მოუნდომებია უშგულის თემის დამორჩილება. უშგულელებს მოძალადე

"ლამარიასთან" მოუკლავთ. აქ ეკლესიის გალავნის დასავლეთ კედელთან ახლაც დგას ქვის ტახტი, რომელზეც ფუთა დადეშქელიანი იჯდა მკვლელობის მომენტში.

8	გრაფიკული მასალა




„ლაგარიე“ ეკლესია ყუმბეთი, სოფ. ქობიანი, უწმიდესის ათონიკე
/არქიტექტორი ვ. ახალბიაძის ნახატი/
1 0 1 2 3 4 5 6 7 მ.

9	ძეგლის აღწერა
ისტორიის ძეგლებისათვის: დახასიათება: მემორეალური დაფის არსებობა, ტექსტი და დაყენების დრო	
არქეოლოგიის ძეგლებისათვის: კულტურული ფენების ხასიათი უმნიშვნელოვანესი მონაპოვრები; ძეგლის მნიშვნელობა.	
არქიტექტურის ძეგლებისათვის: სამშენებლო მასალა; გაბარიტები; გეგმის, კომპოზიციურ-სივრცობრივი სტრუქტურისა და კონსტრუქციების თავისებურებანი; გადაკეთებები და დანაკარგები; ფასადებისა და ინტერიერის დეკორის ხასიათი; არის თუ არა ფერწერის, ქანდაკების და ხელოვნების სხვა სახეობის ნიმუშები; ძეგლის მნიშვნელობა.	
ბუნების ძეგლებისათვის: ზოგადი და გეოლოგიური აღწერილობა; არქეოლოგოური აღწერილობა; არქეოლოგიური მონაპოვრები; ნაგებობის ნაშთები; ხელოვნების ნიმუშები; შეღწევის ტექნიკური თავისებურებები ძეგლის მნიშვნელობა.	

უშგულის თემის თავში, სოფელ ჟიბიანის ზემოთ, დაახლოებით 2100 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ბორცვის თხემზე აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე დგას "ლამარიას" კომპლექსი, რომელიც შედგება შვერილაბსიდიანი, გალავანშემოვლებული დარბაზული ეკლესიისა და გალავანზე დასავლეთდან მიდგმული საცხოვრებელი-სამეურნეო მურყვამიანი კომპლექსისაგან. საცხოვრებელი კომპლექსი აუგიათ იმერეთიდან გამოხიზნული ლტოლვილებისათვის, "ლამარიას" სიახლოვე კი მათ ხელშეუხებლობის გარანტიას იძლეოდა. საცხოვრებელი კომპლექსი შედგება ორი დარბაზ-მაჩვიბისაგან, რომელთა შორის აღმართული ხუთსართულიანი მურყვამი, რომელსაც შესასვლელი სამხრეთიდან, მეორე სართულის დონეზე აქვს. მის აღმოსავლეთით მდგომ დარბაზ-მაჩვიბს, დასავლეთიდან აქვს შესასვლელები, პირველ სართულზე მაჩვიბში შესასვლელად და მეორე სართულზე კი დარბაზის მურყვამთან დამაკავშირებელი. მაჩვიბში შესასვლელის მარცხნივ წყობაში ჩასმული თითქმის იდეალური სიმრგვალის მოზრდილი ქვა, რომელიც მკვეთრად კონტრასტირებს კედლის წყობასთან. მურყვამის დასავლეთით მდგომ დარბაზ-მაჩვიბს შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, რომლის ზემოთ კარის ღიობი მურყვამთან დამაკავშირებელ აივანზე გამოდიოდა; სახურავი და სართულშუა გადახურვა ჩაქცეულია. მაღალი გალავანი, დასავლეთით სწორკუთხა, აღმოსავლეთით წრიულად უვლის გარშემო ეკლესიას. სამხრეთით და დასავლეთით გალავანში დატანებულია შესასვლელი.

დარბაზულ ეკლესიას დასავლეთიდან სამხრეთიდან სტოა შემოუყვება, რომელიც ნათდება დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებში დატანებული სარკმლებით; სამხრეთ კედელში შესასვლელია; რომლის ბალავრის ქვაზე ამოკვეთილია თაღი და რელიეფური ჯვარი.

ეკლესიას შვერილი აბსიდი დეკორირებულია სამი თაღით, რომლებიც ეყრდნობა ცენტრში წყვილი კუთხოვანი პილასტრების კაპიტელებს, ნაპირებში კი შეკიდული პილასტრების კაპიტელებს. კაპიტელები და შვერილი აბსიდის ლავგარდანის ნაწილი დეკორირებულია. დასავლეთ ფასადზე, სარკმლის თავზე ამოკვეთილია

ხაზოვანი წარბი, მის ზემოთ აყვავებული ჯვრის გამოსახულებაა, ხოლო მარჯვნივ ჩასმულია ფილა ლაპიდარული წარწერით: "წ(მიდა)ო ღ (მრ)თ(ი)ს(მ)შ(ო)ბ(ე)ლო, შ(ეიწყალ)ე გ(უარა)ნ(დუ)ხ (ტ)". წარწერა თარიღდება XI-XII საუკუნეებით. აღსანიშნავია შვერილი აბსიდის სამხრეთ ნაწილში ჩასმული გრძელი ფიქალის ქვა, რომელიც მკაფიოდ მოჩანს შირიმით მოპირკეთებულ კედელზე. მიუხედავად იმისა, რომ ქვა დაზიანებულია, მასზე მაინც შეიძლება გავარჩიოთ ლაპიდარული წარწერის ნაშთი. აღმოსავლეთ სარკმლის სამხრეთით არის ფილა, რომელიც გვაუწყებს, რომ აქ არის დაკრძალული ბესარიონ ნიჟარაძე "თავისუფალი სვანი", (1855-1919). ეკლესიას შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. ნახევარწრიული აბსიდის ცენტრში, სარკმლის ქვემოთ მიდგმული ტრაპეზია; კონქის თაღი ეყრდნობა აბსიდის მხრებს. ერთი საფეხურით ამაღლებული საუკურთხეველი დარბაზისაგან გამიჯნულია ოთხ მრგვალ სვეტზე დაყრდნობილი სამთაღიანი კანკელით, რომლის წინ ორი სხვადასხვა ზომის ბუნის ქვა დევს. კამარა დარბაზის ცენტრალურ ნაწილში ეყრდნობა კრონშტეინებზე დაბჯენილ თაღს. კედლებს ძირში საფეხური გასდევს. ინტერიერი მოხატულია. ფრესკები ძლიერ არის დაზიანებული. სახურავიდან ჩამონადენი წყლისაგან და მლოცველთა მიერ დანთებული სანთლების ბოლისაგან.

10	ძეგლის ტექნიკური მდგომარეობა

იხ.პუნქტი. 9.

11	**ძეგლზე ჩატარებული სამუშაოები.** (სარესტავრაციო, საკონსერვაციო, გათხრები და ა.შ.; მათი დახასიათება; ჩატარების დრო; ავტორი; დოკუმენტაციის შენახვის ადგილი).

12	ძირითადი ბიბლიოგრაფია, საარქივო მასალები.

1. Шмерлинг Р. Малые формы в архитектуре средневековой Грузии. Тбилиси, АН ГССР, 1962, стр. 229-236.

2. სილოგავა ვ., "ზემო სვანეთის გრაფიტები", კრებულში "სვანეთი II. კომპლექსური შესწავლის მასალები" "მეცნიერება", თბილისი, 1979, გვ. 115; 121.

3. სილოგავა ვ., "ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი", II, "დასავლეთ საქართველოს წარწერები", ნაკვ. I (IX-XIIIსს.) "მეცნიერება", თბილისი, 1980, გვ. 132.

4. გაბლიანი ე., ძველი და ახალი სვანეთი. თბილისი, საქ. სსრ სახ. გამ. 1925, გვ 65-67.

შემდგენელი - თ. ქორჩილავა

13	დაცვის სისტემა.		
-	დაცვის კატეგორია		დაცვითი ზონა. საბუთი და სქემატური გამოსახულება
-	საბუთი		
-	საბალანსო კუთვნილება(საშეფო ორგანიზაცია) და სათანადო საბუთი		

14	პასპორტის შედგენის თარიღი	
1985წ. «12« თებერვალი		
პასპორტის შემდგენელი (თანამდებობა ან პროფესია, სახელი და გვარი)		
არქიტექტორი თ. ქორჩილავა		
(ხელმოწერა)		
ძეგლთა დაცვის ინსპექტორი (სახელი და გვარი)		
(ხელმოწერა)		